საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№562 2020 წლის 19 მარტი ქ. თბილისი

„წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტ II-ის“ ფარგლებში
განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB) შორის 2013 წლის 20 აგვისტოს ხელმოწერილი ფინანსური ხელშეკრულებით „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტ II-ის“ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ხელი მოაწეროს 2014 წლის 13 ივნისს „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტ II-ის“ ფარგლებში ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB), შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა“ და სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმებული საპროექტო ხელშეკრულების 2020 წლის 27 იანვრის №1 ცვლილების გაცნობის წერილს.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აწარმოოს კონსულტაციები ევროპის საინვესტიციო ბანკთან ამ განკარგულების პირველი პუნქტით

გათვალისწინებული ფინანსური ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოსთვის გამოყოფილი სესხის ჩამორიცხვის ბოლო ვადის 2020 წლის 30 ივნისამდე გადაწევასთან დაკავშირებით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**